


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 36 აგვისტო 25 1896 წ. № 36

შინაარსი: განცხადება—საზაფხულო მასლაათი არიმანისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.- საყურადღებო ამბები.—ბავშვის თავშესაფარი და საავათმყოფო—ცა-სა.—⁂ ლექსი ლასინისა.—ენის წარმოდგომაზე (შემდეგი), ვ. გ. ქარაიასი.—ნეტავ იმას, ლექსი კნ. ნინო ორბელიანისა.—მგზავრის შენიშვნები ვინმე ქალისა.—სასოფლო-მოქმედო საქმე და კერძო განცხადებანი.—

„კვალის" ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში.

(რომელსაც განაგებს ანასტასია წერეთლისა)

მიიღებენ ყმაწვილებს 26 აგვისტოდან ყოველ დღე (გარდა უქმე დღეებისა) 10 საათიდან 1 საათამდის და საღამოობით 6—7 საათამდე. (სკოლა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზე, № 3, ქალაქის სახლის გვერდით).

სკოლაში 5 განყოფილება იქნება. პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში მიიღებენ ისეთ ყმაწვილებს, რომლებმაც არ იციან რუსული და რომელთაც დედა-ენაზე ასწავლიან.

უფროს განყოფილებებში ყმაწვილებს ამზადებენ ყველა სასწავლებლებში; როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, მიიღებენ არა ნაკლებ 6 წლისას.

სკოლაში შეიძლება ყმაწვილების დაბინავება. სწავლა დაიწყება 5 ენკენისთვეს.

## საზაფხულო მასლაათი.


ე რომ ჩემ პირველსავე მასთან უკანასკნელ ფელეტონში „ნანსენობას" მოგახსენებდი, უეჭველია, შენ, ჩემო მკითხველო, მხრები მაღლა აიწიე ნიშნად უსაზღვრო განცვიფრებისა და, ვინ იცის, იქნება, ღმერთს შესცოდე და მე ცილის მწამებელი მიწოდე. აი, ახლაც მინდა მეორე სენი აღვნიშნო, სენი, რომელსაც შჩედრინის ტერმინოლოგიით ეწოდება.... არ ვიცი, ახლა რას იტყვი? თუ ისევ მიმიკით გსურს გამოხატო შენი განცვიფრება, ვინ იცის, იქნება, მხრების აწევის მაგიერ, შენ ფეხებს ისეთი „სიტუაცია" მისცე, როგორც კეთილშობილმა იანკიმ იცის ხოლმე ჟამსა მოსვენებისასა. შენ, რასაკვირველია, ამ პოზაში ვერ მოისვენებ და მეც ბოდიშს ვიხდი შენ წინაშე, ჩემო მკითხველო, მეტადრე თუ შენ „დამა" ბძანდები. თუ არ გამიწყრები, ხომ კარგი, თუ გაწყრები და არც მაგასა ვარ ხამი: ჩემი ხელობა ისეთია, რომ ყოველ ჟამს უნდა მოველოდე შენ წყრომას. ჩემი საქმე მხო-

ლოთ ის არის, რომ გაგაცნო შენი მტერი და მოყვარე, თვალი აგიხილო იმაზე, რასაც შენ ვერა ხედავ, ან არ გინდა დაინახო, და ასე და ამ გვარათ სარგებლობა მოგიტანო. ზოგჯერ შენ იქნება არც კი გსურდეს შენი სარგებლობა, მაგრამ ჩემი მოვალეობა მაინც ასეთია, შენ მაგიერ შენ საქმეზე მე უნდა ვიტეხო თავი, თუმცა ვიცი, რომ ამისთვის შენ იქნება, კრუპპის ზარბაზნებიანი არტილერიაც გამოიყვანო ჩემ წინააღმდეგ. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, უთქვამთ ძველებს, და მეც მისი მონა ვარ.

ამ პატარა „პროტასიას“ შემდეგ მინდა მოგელაპარაკო ჩვენი უკულმართი ცხოვრების შესახებ, მინდა მოგელაპარაკო ჩვენი ცხოვრების დაწვრილმანება-დაქუცმაცებაზე. შენი არ ვიცი და მე კი ჩვენი ცხოვრება სწორეთ შეგუბებულ ბაყაყების-ბუდეს მაგონებს, ობ მოკიდებულ ჭაობს, სადაც სხვა-და სხვა ქვემძრომთ უპოვიათ თავშესაფარი. ვიცი, შენ ამის წინააღმდეგი ხარ, და ამ ბოლოს დროს „პროტესტებში“ და „ოზრაჟენიებში“ ხომ ისე დაგახელოვნეს, რომ ახლავე მესმის შენი ყვირილი: ფაქტიო! მაპატივე, რომ ამ თხოვნას ვერ გისრულებ. ფაქტი! ამას რაღა ფაქტი უნდა, როდესაც ეს თითონ ფაქტია? აბა მიბძანე: რომელ ჩვენ საზოგადო საქმეს, რომელ დაწესებულებას ატყვია სიცოცხლის *) ნიშან-წყალი? სად არის ხალხისთვის ზრუნვა, სად არის მწერლობის ცხოველ-მყოფელი გავლენა, სად არიან მოღვაწენი, რომელნიც

სანთელსავით თვით იწოდენ,
და სხვას კი გზას უნათებდენ?

ვერა ხედავ, განა?
ვერც მე ვხედავ!

მაგრამ ვიკითხოთ, რა უნდა იყოს მიზეზი ასეთი დაწვრილმანებისა? ხომ იყო ერთი დრო და დიდი ხანიც არ არის მას აქეთ, როცა ჩვენშიაც საზოგადო ცხოვრება ისე არ იყო ჰიმქრალი? რა ცეცხლი იყო ის ცეცხლი, ან რა ქვაბი იყო ის ქვაბი, რომელშიაც ჩვენი ცხოვრება ისე ენერგიულათ ტრიალებდა? ამბობენ, ის ცეცხლი პრომეთეოსის ცეცხლი იყო, გულწრფელი სიყვარული ადამიანისა და საზოგადო საქმისაო. ის ძალა იდეალის ძალა იყოვო. ვითომ მართალია? ან, იქნება, ყველა საკითხი გადაწყდა და უტოპიებს ბოლო მოეღო? ან შეიძლება, ვისაც საკითხის გადაწყვეტა შეეძლო, ყველა გაწყდა. ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ჩვენ აღარა გვაღელვებს რა, არავითარი „დაწყევლილი კითხვა“ აღარ არსებობს ჩვენთვის! ჩვენ თითქო განგებ ვიცილებთ თავიდან იმ questio vexata-ს, რომელიც ადამიანს ადამიანობას აძლევს და რაღაც ჩხირკედელაობას მიეცემივართ. ამ ჩხირკედელაობას ზოგნი „კულტურულ, ორგანიულ შრომას“ უწოდებენ და სრულიად კმაყოფილნი არიან, რომ ასეთი მაღალი და მყვირალა სახელი მოუნახეს თავის უქნარაობას. ეს ყველა ასეა, მაგრამ მაინც რის ბრალია ჩვენი აპატია, ჩვენი ცხოვრების უფერულება? იქნება, იმითი აიხსნებოდეს, რომ საზოგადოებაში დიდი დიფერენციაცია მოხდა, ყოველ საქმეს თვისი შესაფერი კაცი ჰყავს მიჩენილი და ცხოვრების მეხანიზმი ისე თავისუფლათ მუშაობს, რომ არც ერთი ჩარხი მეორეს არ უშლის, არ ედება და რადგან ჩარხთა შორის არავითარი კონფლიქტი არ არსებობს, ამიტომ არც ბრძოლაა და აყალ-მაყალი, შვიდობა დამყარებულა და სადაც მშვიდობიანობაა, ხომ გუბეც იქ არის.

ასეთ გუბეს კაცი კიდევ როგორმე მოეწყობოდა, თავს იმითი მაინც ინუგეშებდა, ეს ჩვენი განვითარების, პროგრესის შედეგია, malum necessarium-ი გახლავს, თავიდან ვერ ავიცილებთო და სხ... სწორეთ ისე, როგორც სჯიან ხოლმე კაპიტალიზმზე. მაგრამ აქ საქმე ცოტა სხვანაირათ გახლავთ. ჩვენ ცხოვრებაში ასეთი სპეციალიზაცია ჯერ არ მომხდარა, რომ მას მოეკლას სიცოცხლე. ასე რომ იყოს, ჩვენ მყისვე ავმხედრდებოდით მის წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენც მავნებლათ მიგვაჩნია იგი. ასე ბრძანებენ რუსის სუბიექტივისტებიც, თუმცა ოც-და-სამი საუკუნით მათზე ადრე დიდმა ფილოსოფოსმა პლატონმა უფრო რადიკალურათ გამოთქვა იგივე აზრი, როდესაც „ქალთა ემანსიპაციას შეეხო“: სპეციალიზაცია მავნებელია, კაცს გემოვნებას უხდენს, მის ესტეტიურ გრძნობას ამდაბლებსო.

ერთი სიტყვით ჩვენი დაწვრილმანება სპეციალიზაციის და დიფერენციაციის ბრალი არ არის. უფრო ნამდვილი მიზეზი ჩვენი დაწვრილმანებისა ჩვენვე ვართ, ვინაიდან „ისტორიას“ ჩვენა ვქმნით. მაგრამ დავანებოთ სოციოლოგიურ კვლევას, მკითხველო, თავი. ეს ჩვენი საქმე არ არის. რაც უნდა იყოს, მე იმ აზრისა ვარ, რომ

ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა.

მით უმეტეს, რომ ჩვენ ბედნიერ სამშობლოს თურმე ჯერ კიდევ არ გამოლევია „თავდადებული მოღვაწეები“, რომლებიც იბრძვიან და იბრძვიან საქვეყნო, საზოგადო ინტერესის გულისთვის. ჩვენი ცხოვრების გუბე ხანდიხან აღელდება ხოლმე დ ტალ-

*) არიან ისეთი გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ძმათა შორის ყიზილბაშურ ბრძოლას ჩვენ სათავად-აზნაურო ბანკში სიცოცხლის ნიშნათ ხადიან. ნეტარ არიან მორწმუნენი!..

ლების მაგიერ პატარ-პატარა ბუშტებს მოიგდებს პირზე, თითქო ეს არის ვინმე ჩაუძირავს და დაუხრჩვია. ეს მართლა ასეც მოხდება ხოლმე. გუბე შეირყევა და მისი „მოლევაწენიც“ ხშირათ იხრჩობიან შიგა. აი, ამ მოკლე ხანში მთელი „მოლევაწეთა გუნდი“ საუკუნოთ გამოესალმა წუთისოფელს.

ამ გვარი „მოლევაწენი“ ჩვენ თურმე მრავალი გვყოლია, ისე მრავალი, რომ Kº-ებსაც კი ადგენენ თურმე. სამწუხარო მხოლოთ ის არის, რომ თავიც მოაქეთ თავისი „მოლევაწეობით“. O tempora, o mores! უწინ ამათთანა „მოლევაწეები“ ალაგმულები იყვენ, იმალებოდენ, ახლა კი ეს სპეკულიაციის რაინდები მოურიდლათ გამოდიან მოედანზე და თავის დროშას თამამათ აფრიალებენ. ამ მოლევაწეებმა კარგათ იციან, რომ „საზოგადო ზნეობამ“ მათივე მეოხებით იმდენათ დაბლა დაიწია, რომ უშიშრათ შეუძლიათ გამოიტანონ დროშა; ამ დროშას შეჰფარებიან არა მარტო „გახუნებული“ რადიკალები, არამედ ბევრნი ისეთნიც, რომელთაც თავის დღეში არა ჰქონიათ საკუთარი ფერი და ამიტომ არც „გახუნება“ შეუძლიათ და არც „გაუხუნებლობა“. „აი, ისტორია“! შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ. სხვა რა გვეთქმის?!

არ მინდოდა „ფაქტებს“ შევხებოდი, მაგრამ ჩემმა „პოზიტიურმა მიმართულებამ“ მაინც თავისი გაიტანა. რაც ეს მასლაათი გავაბი, თავში სულ ერთი ფაქტი, ერთი საქმე მიტრიალებს. ღმერთმა კარგი მოგცეს, კარგი სახეირო საქმე ის იყოს ყველასთვის... „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ედემის დარი მხარე. მისი ევროპასთან დაახლოვება მოინდომა კრებამ რკინის გზის ლიანდაგით. ამისათვის მან დახარჯა გამოკვლევაში, პლანებში, „ნიველიროვკაში“ თავისი ოფლით მონაგარი 16,000 მან. და მან ეს პლანი ვილასაც მიაბარა. „ისტორიჩესკი ოპიტი“ მას არასა შველის. ბოლოს, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევას ჩვევია, გამოჩნდა მახრობელი და აუწყა კრებას, შენი პლანები თელავში დაფრიალებდენო. იწყო დრტვინვა და მეყსეულათ დაადგინა მან შემდეგი სასტიკი, მაგრამ გამოურკვეველი განაჩენი: „გამოერთვას მას, ვისაც ჰქონდესო“. რას ნიშნავს ეს „ვისაც ჰქონდეს“? ნუ თუ მას, ვისაც უნდა ჰქონდეს, ან გვარი, ან სახელი და ან წოდება არ გააჩნია? ჯერ ამ საქმეზე ბაასი არ დამთავრებულიყო, რომ ერთმა ღარიბმა აზნაურშვილის ქვრივმა დარბაზში შემოაძუგძუგა თავისი დაძველებული მზითვის „ზანდუკი“, რომელსაც ზედ ეწერა ძველებური ხუცური ასოებით:

მრავალ არიან, უფალნო, მტერნი,
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი.

— თუ კიდევ გაგვაჩნია რამე, შენი ჭირიმე, ბატონო, აი, ამ ზანდუკში დავკეტე და გასაღები ჩუმათ ზღვაში გადავაგდე, თორემ...

აქ თავმჯდომარის ზარმა უეცრათ ხმა ჩააწყვეტინა საწყალ ქვრივს.

მე როგორც ჭეშმარიტი ქართველი „სოციალ-დემოკრატი“, რასაკვირველია, მოხარული ვარ, რომ მსოფლიო ევოლიუციის კანონები ასე ბრწყინვალეთ იჩენენ თავის ძალას ჩვენ „ჩუდნოე დვორიანსტვოზე“, მოხარული ვარ, რომ იგი, რომელიც ერთ დიდ ლუარსაბ თათქარიძეს მომაგონებს, ასე უწყალოთ ისჯება ევოლიუციის კანონებით, მაგრამ ქუდი დადე და სამართალი თქვიო. ჩემი ფილოსოფიური სკეპტიციზმი არც ისე შორს მიდის, როგორც ერთი ჩვენი ფინანსისტისა, რომელმაც თავის ადამიანობაც კი საქვეყნოთ უარ-ჰყო; არა, ბატონებო, homo sum და როგორც ჩვილი გულის პატრონ ადამიანს მიუხედავათ ევოლიუციისადმი ღრმა პატივ-სცემისა, მებრალება ჩვენი „ჩუდნოე დვორიანსტვო“, რომელსაც ასე უწყალოთ უპირობენ გაკრეჭას.

ცოტა არ იყოს კიდეც მეშინია, რომ ასე პირდაპირ გამოვთქვი ჩემი აზრი „ჩუდნოე დვორიანსტვოზე“, მაგრამ განა მარტო მე ვარ ასეთი აზრისა: აი, ზევით რომ „მოლევაწეთა გუნდს“ მოგახსენებდი, ისინიც ჩემი ამხანაგები არიან, ისინიც „სოციალ-დემოკრატები“ არიან, თუმცა კი ვერა გრძნობენ ამას: ისინიც ხელს უმართევენ „მსოფლიო ევოლიუციის კანონებს“ და ცდილობენ იმ კრების განადგურებას. რა გაეწყობა: სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებაო, მოგეხსენება. მაშ რასა ნიშნავს ის საუცხოვო „კარტინა“, რომელიც ჩარახჩიანოვის მაღაზიაში ვნახე, თუ არ იმას, რაც მე მოგახსენეთ. ქალაქელებმა ყველამ ვნახეთ და მე რომ ჩარახჩიანოვისა ვიყო, ახლა მთელი ქართლის სოფლებს დავივლიდი და ვაჩვენებდი, აი, სწორეთ ისე, როგორც ერთხელ ერთი „კარტინა“ დაჰქონდათ, და აჩვენებდენ რილაცის (?) დასამტკიცებლათ. მაგრამ ისევ ისა ჯობს, მე გადმოგცეთ ამ „კარტინას“ შინაარსი, თორემ ვაი თუ თქვენ ვერა ნახოთ, რადგან, როგორც ხმა გავარდა, ვილაებსაც K-º შეუდგენიათ და სულ შეიყიდონო.

„ჩუდნოე დვორიანსტვოს“ ცრემლი სდის შეუშრობელი. შვენიერი ქალი იწვევს კრებ საკენ, მაგრამ მისი მოტრფიალე კავალრები გზას უკვრენ და არ უშვებენ.

— je vous aime, je vous adore! - შესტრფიან მას.

— უყურეთ, უყურეთ: აიწია, აიწია! — გატაცებით ყვირიან კავალრები და თვალები უბრწყინავთ.

— რა აიწია, ვინ აიწია? კითხულობს ერთი „ადორატორი“, და შვენიერ ქალს ფეხებში შეჰყურებს.

— აქციებმა, აქციებმა აიწიეს!.. ისმის მხიარული ხმაურობა.

მართლაც შვენიერი ქალის ტანზე აქციებს სულ მაღლა აუწევიათ და შვენიერი ქალი შიშველი რჩება...

მხოლოთ კავალრები კვლავ ახალ-ახალ ჯიბეებს იკერებენ...

არიმანი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

საერთო ზარალი, რომელიც მოუვიდა წარსულ წელს ამიერ-კავკასიის სოფლის მცხოვრებთ, აღემატება 3 მილიონ მანეთს. ამ რიცხვში, რასაკვირველია, არ შედის ამიერ-კავკასიის რკინის გზის ზარალი, რომელიც აგრეთვე რამდენიმე მილიონამდის ადის. (Нов. Об.).

***

ჩვენი ახალგაზდა მხატვარი გაბაშვილი ცოტა ხნით ჩამოსულა მიუნხენიდან. ეს ორი წელიწადია, რაც აქაურმა „ღარიბ თავად-აზნაურთა შემწე კომიტეტმა“ შემწეობა აღმოუჩინა, რომ ამ ყმაწვილ კაცს დაემთავრებინა სამხატვრო სწავლა, ძველ მხატვრობით განთქმულ ქალაქ მიუნხენში; ახლაც, როგორც შარშან, ამას მიუღია ვერცხლის მედალი. თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ ყველა მიისწრაფის ამ ქალაქში, როგორც მხატვრობისთვის საუკეთესო ადგილს, ჯილდოს დიდი მნიშვნელობა ექნება. 96 კაცში, მხოლოთ ორს მიუღია ვერცხლის მედალი. სურათი სამარყანდის ბაზარი, რომლისთვისაც ჯილდო მიიღო გაბაშვილმა, გამოფენილია ახლა მიუნხენის სამხატვრო გამოფენაზე. მეორე მისი სურათი ჩვენებური „მრეცხავი დედაკაცები“ ბერლინშია გამოფენილი. მესამე „ბუხარა“ — ვენაში. ახლაც მასალის მოსაგროვებლათ ჩამოსულა, რომ შემდეგ მიუნხენში დახატოს სხვა დიდრონი სურათები ჩვენი ცხოვრებიდან.

***

ჩვენ მივიღეთ მოსკოვში დაბეჭდილი შვენიერი დიდი სურათი „საქართველოს დიდება“, გამოცემული მ. პ. საბინინისაგან. სურათი ფერადი წამლებით სუფთათ და კარგათ არის გამოყვანილი, ფასიც ძალიან მცირეა (1 მან. 20 კაპ.). ჩვენ მხოლოთ ის გვაკვირვებს, რომ ეს სურათი არის გადმოღებული სიონის ტაძრიდან და რატომ ზედ წარწერაც ისეთივე არა აქვს, როგორც თვით სიონის ხატზეა.

***

ქვემო ქიზიყის სოფლებს სურთ იყოლიონ ქართველი ექიმი; ვინც მოისურვებს ქიზიყში ექიმობას, თხოვენ აცნობონ შემდეგი ადრესით: (Сигнахъ—Мачхаани Д. Надирадзе), და წერილით შეატყობინებენ პირობებს.

***

ოფიციალურ ცნობებით, თბილისის გუბერნიაში იელისის თვიდან გაჩენილა საქონლის სხვა-და-სხვა ავათმყოფობა.

***

„კავკასიის სამეურნეო გაზეთის“ კორესპონდენტი კახეთიდან იწერება, რომ ამ ჟამათ იქ აღმოუჩენიათ ახალი მტერი მევენახეობისა. ეს არის თურმე ერთნაირი ჭია, რომელიც ყურძნის მარცვალში იმყოფება და მთელ მის რბილ ნაწილს ჰჭამს. ეს ჭია შემდეგ პარკს იკეთებს და პეპლათ იქცევა. ეს სენი თურმე დიდ ზიანს აძლევს რქა-წითელას.

***

ქუთაისიდან ატყობინებენ „Нов. Обоз.“-ს, რომ შორაპნელ ქვა-გუნდის მწარმოებელთა კრებას განზრახვა აქვს იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ ქუთაისში გახსნილ იქნას სამთო სასწავლებელი. ამ საქმისათვის ქალაქი უთმობს უსასყიდლოთ მიწას და ქვის მასალას.

***

მკათათვის 23 ტარიბანაზე (შირაქში) ცეცხლი გაჩნდა და ბევრი ფშაველის ცხვრის ბინა დაიწვა. დამნაშავე, რასაკვირველია, ვერ იპოვეს. საყურადღებოა, რომ არა ერთხელ და ორჯელ გადაუწვავთ აქაური ბინები ზაფხულობით, როდესაც მათი პატრონები შორს მთებში დასდევენ ცხვრებს.

***

თუქურმიშაში (Царскіе колодцы) ორმოც კომლ-

ზე მეტი ქართველობა ცხოვრებს, მაგრამ ამათში ქართული არც სკოლაა, არც ბიბლიოთეკა და არც ეკლესია, მაშინ როდესაც სხვებს თავიაანთი ეკლესიაცა აქვთ და სკოლებიც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განმარტოებული, უცხო ტომთა შორის მცხოვრები, თუქურმიშის ქართველობა ეცდება და შემდეგისათვის მაინც იზრუნებს სკოლისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებაზე.

***

ჩვენ გვატყობინებენ სოხუმიდან, რომ რადგან 13 მარიამობისთვეს შესრულდა 30 წელიწადი განსვენებული ისტორიკოსის სულხან ბარათაშვილის სიკვდილისა, ამიტომ აქაურმა ქართველობამ გადაიხადეთ პანაშვიდი სოხუმის სასოფლო წმინდა გიორგის ეკლესიაში. მწირველი იყვნენ დეკ. მ. დ. მაჭავარიანი და მღ. მ. ხელაია. სოხუმის შეგნებული ქართველობა ყველა დაესწრო და შემდეგ ხელის მოწერაც გაიმართა. რათა მარმარილოს-ქვა დაედოს საფლავს.

***

ადელხანოვის ქარხანაზე „Правит. Вѣст.“-ში წერენ შემდეგს: „კავკასიის ტყავის და ნაბდის ნაწარმოები ამ უკანასკნელ დროს ვრცელდება არა მარტო კავკასიაში, არამედ სპარსეთშიც და სათათრეთშიაც. თუ როგორ გადიდდა ეს წარმოება, ამას, სხვათა შორის, მოწმობენ ადელხანოვის ქარხნის და ფაბრიკის ნაწარმოებნი ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე. ეს ქარხანა აწვდის ფეხსაცმელს მთელ კავკასიის და ამიერ-კასპიის სამხედრო უწყებას და ამზადებს აგრეთვე იმავე უწყებისათვის ტანსაცმელს და ფეხსაცმელს; მასალათ ხმარობს ადგილობრივ ნაწარმოებს. ნაბდის წარმოებაში ეს ფაბრიკა ერთათ ერთია მთელ რუსეთში, რომელიც ორთქლის საშუალებას ხმარობს წარმოებაში, ტყავის მოქნისათვის კი ელექტრონულ ძალას. ფაბრიკის წარმოება, რომელიც 1000 მუშა ხელს აძლევს სამუშაოს, ადის 1.300,000 მანეთამდის წლიურათ.

***

დრო იყო, რომ კავკასიას, როგორც საშიშარ მხარეს, ყველა უცხოელი გაურბოდა, და მასზე მხოლოთ ოცნებობდენ. ათასში ერთი თუ ვინმე გაივლიდა კავკასიის მიდამოებში, რაც მას დიდ ღვაწლათ ჩაეთვლებოდა, მეტადრე ამასთანავე თუ რაიმე ცნობებს დასტამბავდა. დღეს ეს დრო სამუდამოთ წასულია. თანამედროვე წარმოების ფორმას, კაპიტალიზმს, ვერავითარი ბუნებრივი თუ ხელოვნური ზღუდე, ვერავითარი საშიშროება, ვერ შეაკავებს. ახლა არ გაივლის ისეთი დღე, რომ გაზეთებში არ ამოვიკითხოთ, ამა-და-ამ ადგილას ეს და-ეს მადანი აღმოაჩინესო, ესა-და-ეს წარმოება დაიწყესო, ესა-და-ეს უცხოეთის თუ რუსეთის კამპანია გზავნის ინჟინრებს კავკასიის არე-მარეთა და მის ბუნებრივი სიმდიდრის გამოსაკვლევათ, რათა ახლო მომავალში შეუდგენ უზარ-მაზარი წარმოების აღორძინებასო. საგულისხმო ის არის, რომ აქ ძველებურ წოდებრივ გარჩევას სრულებით ადგილი აღარ აქვს: თავადი, ძლიერი, ნასწავლი, უსწავლელი,—ყველანი ერთი-და იმავე იარაღით—ფულით აღჭურვილი გამოდიან.

აი, ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებში რუსეთის გაზეთებიდან გადმობეჭდილი იყო ცნობები იმის შესახებ, რომ კავკასიაში გამომგზავრებულან წარმომადგენელნი მოსკოვის ერთი დიდი მწარმოებელი ფირმისა, რომელსაც სურს დაიწყოს კავკასიაში დიდი წარმოება სხვა-და-სხვა მაშინების შესამუშავებლათ. ამავე მიზნისათვის როსტოვში მისულა ამ ქამათ თ. გ. გ. ლობანოვ—როსტოვსკი, მფლობელი დიდი მამულისა კავკასიაში და ამიერ-კასპიის მხარეში.

## საყურადღებო ამბები.

ქიზიყი. არა მგონია, საქართველოს რომელსამე სხვა კუთხეში ისე ხელ-უხებლათ იყოს დარჩენილი საერთო მიწის მფლობელობა, როგორც ქიზიყში. ქიზიყში არა თუ მარტო გლეხობას, არამედ აზნაურობასა და სამღვდელოებასაც, სამოსახლოს და ვენახების გარდა, საკუთრება არა აქვთ. სახნავ-სათიბი დ საძოვარი მინდვრები დაყოფილია სოფლებს შორის; ამ მინდვრებით სარგებლობენ ყველანი, განურჩევლათ წოდებისა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ სახნავ-სათიბი ქიზიყელებს მომეტებულათ შირაქის მხარეს ისე ბევრი აქვთ, რომ ვისაც რამდენი უნდა, იმდენსა ხნავს და თესავს. ეს გარემოება არის უმთავრესათ იმის მიზეზი, რომ ქიზიყში ძალიან ცოტაა იმისთანა ოჯახები, რომლებიც ხვნა-თესვას არ მისდევდენ.

სახნავი მინდვრების დაჭერის შესახებ ამგვარი წეს-რიგი არსებობს: ვინც ყამირს ანუ დიდიხნის მოუხნავ მიწას მოხნავს, ეს მიწა იმის საკუთრებათ ხდება იმ დრომდის, ვიდრე ერთ წელიწადს მაინც არ გაუშვებს მოუხნავათ; ამას შემდეგ კი სხვას აქვს უფლება მოხნას და სანამ იმისი ნება—სურვილი იქნება ამუშაოს ეს მიწა, ამასთანავე ვისაც რომელიმე

მიწის მოხვნა სურს — ამ მიწას ზაფხულის გასულს ავლებს კვალს, ე. ი. ერთხელ შემოატარებს გუთანს; ამას შემდეგ არავის უფლება აღარ აქვს, ეს მიწა მოხნას.

რაც შეეხება თიბვას, ამ შემთხვევაში სოფლელები ასე იქცევიან: დანიშნულ დღეს თიბვის მსურველნი ოჯახიშვილები მამასახლისის თანდასწრებით იკრიბებიან მინდორში ცხენებით; როცა ყველანი შეიკრიბებიან, მაშინ ერთათ გააჭენებენ ხოლმე ცხენებს, რათა დათვალიერებული ალაგი დაიჭირონ, ე. ი. დასდონ ნიშანი, რომ ამ ალაგის გათიბვა მე მინდაო. ამ დროს ხშირათ უწესოებაც ხდება ხოლმე, მაგრამ მალე დაშოშმინდებიან და ინაწილებენ სათიბ ადგილებს. გარდა ამისა, თავისი სახნავი მიწების გარეშემო ბალახის გათიბვა ყველას უდავიდარაბოთ შეუძლია.

ამ საერთო მიწის მფლობელობას ქიზიყში მთავრობის სურვილით მალე ბოლო მოეღება: მაზრის უფროსს გამოუცხადებია სოფლელებისთვის, რომ მიწები კომლეულათ მოგეზომებათო (კომლზე 24 დესიატინა). მომავალ ცვლილებას გლეხები როგორღაც გულ-გრილათ უყურებენ, თუმცა აქა-იქა წინააღმდეგი ხმა ისმის, როგორც იყო ისევ ისე დარჩენილიყო უმჯობესი იყოვო...

ამ ჟამათ ქიზიყში იმყოფებიან მიწის მზომავები და აზნაურობა — სამღვდელოებას დაჩემებულ ადგილ-მამულებს უმიჯნავენ, მაგრამ ამასთანავე მთავრობის წარმომადგენელნი დავას აცხადებენ და ყველა ქიზიყის მამულებს სახელმწიფოს ეძახიან. ვნახოთ სასამართლო რას იტყვის და რით გადაწყვეტს ქიზიყის აზნაურობისათვის ასეთ მწვავე კითხვას...

ქიზიყს წელს ვერა აქვს კარგი მოსავალი. ვენახები, რაც სეტყვას გადურჩა, ნაცარმა და მილდიუმ გააჩანაგა. საკმარისი პური და ქერი სულ ოთხხუთ სოფელს არ მოუვიდა; ეს არის მიზეზი, რომ ქერის ფასმა შესამჩნევათ იმატა: შარშან თუქურმიშაში მიტანილს ფუთ ქერში ჩვენი „როტშილდი" ოთაროვი 20—25 კაპ. იძლეოდა, წელს კი 35—40 კაპეიკათ ჰყიდის. პურის ფასმაც ცოტა აიწია, უეჭველია, შემოდგომაზე უფრო მეტათ გაძვირდება.

როგორც ზევითა ვთქვი, თუმცა წელს ქიზიყში ხეირიანი მოსავალი არ იყო, მაგრამ მუშების ფასი აღრინდელი დარჩა: სათიბში დღეში მანეთი, მკაშიაც პირველ ხანებში 1 მანეთი, შემდეგ 80 კაპ.

ი. გ—ძი.

* * *

დ. ოჩემჩირე (აფხაზეთი). აფხაზეთში, სამწუხაროთ, ძალიან ხშირია კაცის კვლა და ქურდობა, მაგრამ ამ ზომამდი თავ-გასულობას არ მოვსწრებივართო, — ამბობენ მოხუცნი. ზამთარი იყო და სამურზაყანოს მაზრაში, ს. აბსაძიხის შარა-გზაზე ისე ვერ გაივლიდა კაცი, რომ რაიმე უბედურება არ შემთხვეოდა; იქ ცარცვავდენ ყოველ დღე მუშა ხალხს, განსაკუთრებით მეგრელებს, რომელნიც, აფხაზების სიტყვით, იმათისავით მხნე არ არიან.

ერთი თვეა, რაც მიწყდა ასეთი თავისუფალი თარეშობა, მაგრამ ნაცვლათ გამეფდა ქურდობა. ქურდობენ, მაგრამ როგორ? ზოგი ქურდობს, როგორც „Новое Время"-ს ერთი კორესპონდენტი, საწყალ ხალხზე უთითებს ქურდიაო და თვითონ „განათლებულათ" ქურდობს. ზოგი... მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოთ ეს საზიზღარი ხელობა, როგორაც არის ქურდობა, აქ სასახელოთ მიაჩნიათ. ცხენს იპარავენ განსაკუთრებით მღვდლებს და ვაჭრებს. ერთი ორი თვის შემდეგ ხმა გავრცელდება — შენი დაკარგული ცხენი ნახესო. ვინ ნახა? — რასაკვირველია, მეგობარმა. ყაჩაღებს დაასახელებენ და გამოსაყიდელი ფულია საჭიროო. მისცემ ნახევარ ფასს და სიხარულით რამდენიმე მანეთს კიდევ დახარჯავ, რადგან ასე იაფათ ჩაიგდე ხელში დაკარგული საქონელი. მოგიყვანებენ გაძვალ-ტყავებულ ცხენს. ეცდები და კვლავ გაასუქებ, ისევე მოგპარავენ და განმეორდება პირველი ისტორია. ამ გვარათ ორი თვის განმავლობაში ორჯელ-სამჯერ მოჰპარეს და დაუბრუნეს ცხენი მღვ. ხელაიას, მღდ. ნოდიას, ვაჭარ გ. გვასალიას; ასევე მოუვიდა დ. ოჩამჩირის ბლაღოჩინს ბ. კერესელიძეს, სამოსამართლოს ბოქაულს ტრ. კაჭარავას და სხვებს.

სწავლა-განათლების საქმეც აქ ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაშია. სხვა და-სხვა პირების მოქმედებამ იმ ზომამდის მიიყვანა, მაგ., ოჩამჩირეს საზოგადოება, რომ ამ უკანასკნელს განუზრახავს აქ არსებული ორ-კლასიანი სასწავლებლის დახურვა. მკითხველი თითონ მიხვდეს ამ გვარ „მოღვაწეთა" მოქმედებას, რომ თავი არ მოვაბეზროთ იმათი საზიზღარი საქციელის აწერით.

საშინელმა გვალვამ გააფუჭა მოსავალი, განსაკუთრებით ზღვისპირათ მდებარე ადგილები. მთელი ორი თვეა, რომ წვიმა არ გვინახავს, საშინელი სიცხეებია, ხანდის-ხან სითბო 45 $^0/_0$ ადის. საცოდავი სანახავია ზოგიერთი ყანები; სიმინდს თითის სიგძე ტარო გაუკეთებია და ღეროიანათ გამხმარა. სამურზაყანოს განყოფილების ზოგიერთ სოფლებში შარშანაც ნაკლები მოსავალი იყო, ასე რომ ახლავე ყიდულობენ სიმინდს.

წრეულს საზღვარ-გარეთ სიმინდი თითქმის სულ აღარ გააქვთ, წინეთ მარტო ოჩამჩირიდან გადიოდა

შეიდას-რვაას-ათას ფუთამდე სიმინდი. სიმინდის ფასი ძალიან დაკლებულია (30 კ.); მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ ფასათაც არავის მიაქვს, რადგან საზღვარ გარეთ არა აქვს გასავალი; ამიტომ ძალიან შევიწროებულია ხალხი უფულობით. ერთათ-ერთი სახსარი ცხოვრებისა სიმინდი იყო აქ. ხალხმა არ იცის რას მოჰკიდოს ხელი. თითის ტკივილს გული იგრძნობს და გონება ეცდება წამალი მოუპოვოს. ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

—ლია —ქ.

***

ხაშური. მოგეხსენებათ, სადაც ხეირიანი გზა არის გაყვანილი და განსაკუთრებით რკინის გზა, ის ადგილი თანდათან წარმატებაში მიდის. რკინის გზის მეოხებით ბევრ ტყიან და ტიალ ადგილებში, სადაც წინეთ ნადირის მეტი არაფერი მოიპოვებოდა, ხალხი დასახლდა, ბევრი სოფელი დაბა-ქალაქათ იქცა და უფასო ადგილებს ფასი დაედვა; ალებ მიცემობასაც შეეჩვია დიდი და პატარა, სწავლის და წერა კითხვის სურვილიც გაფართოვდა,—ერთი სიტყვით ყველამ თვალი გაახილა და ყველაფერს შნო და ლაზათი დაეტყო.

ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროთ ხაშურს (მიხაილოვი), რომელიც ერთი დიდი და ძველი სადგურთაგანია ჩვენი რკინის გზისა, შუაგულ ქართლში, არა ვითარი წინ-სვლა და კეთილის შეთვისება არ ეტყობა, გარდა სამიკიტნოების და საწვრიმალო მალაზიების გამრავლებისა.

ხაშურთან შედარებით განჯის სადგური და იქაური ქართველობა მიუხედავათ იმისა, რომ იგი ე. ი. განჯა, საქართველოზე დაშორებულია, იქაური ერთი მუჭა ქართველობა გაცილებით წინ არის ხაშურელებზე. განჯელ ქართველების გულ-შემატკივრობა ჩვენი საზოგადო საქმისადმი, მათი ქველ მოქმედება, ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება და სხვა მრავალი კეთილი მოქმედება ხშირათ გვსმენია გაზეთებში; განჯელ ქართველობამ, წელიწადი ისე არ გავა, რომ ათას მანეთზე მეტი არ გამოიღოს სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო მიზნისათვის. სულ სხვას ვხედავთ ჩვენ ხაშურსა და მის მცხოვრებლებში; აქ ამ გვარ საგნებით თავს არ იწუხებენ, ხაშურში უმეტესობა სამიკიტნოებში ატარებს დროს და ამიტომაც ხდება აქ ხშირათ უწესოება, ჩხუბი, აყალ-მაყალი და ქურდობაც. ამ ორი კვირის წინათ აქ ერთ რკინის გზის მოსამსახურეს ცქიტიშვილს, თორმეტ თუმნათ ღირებული ცხენი მოჰპარეს თავლიდან და დღესაც მისი კვალი ვერ უპოვნიათ.

აგრეთვე, ამ რამდენიმე დღის წინეთ, აქაურ სამიკიტნოების წინ საშინელი ცემა-ტყეპა და ჩხუბი გაიმართა: ოც-და-ათ კაცამდე ქალელები დაესივნენ ოთხ ოსს; პოლიცია კი ჩვეულებრივ არსად ჩანდა. საკვირველია ღმერთმანი, ამოდენა ბაზარში ერთი ბაზრის და წესიერების დამცველი არა ჰყავს ადგილობრივ პოლიციას.—ერთი ბაზრის მცველის დასაქირავებლათ თუ ხაზინიდან არ ეძლევათ ფული, მოვაჭრეებს მაინც დაავალონ ერთი კაცის დაქირავება, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდეს ბაზარს და უწესოებას თავიდან აცილებდეს.—გარდა ამისა, საჭიროა პოლიციის ყურადღება იქნეს მიქცეული ქუჩების სისუფთავეზე და განათებაზე. მაგრამ თურმე ნუ იტყვი, ზოგნი აქ იმ აზრის ყოფილან, რომ ღმერთმა იმიტომ გააჩინა ლამე, რომ ლამეს უნდა გავედესო, სანთელი და ნათელი ქუჩებში მეტიაო.

აგრეთვე საჭიროა აქაური მეპურეებიც ცოტათი აილაგმოს. ეს ვაჟბატონები გარდა იმისა, რომ ძვირათ ჰყიდიან პურს, ისეთ უგემურს, მლაშეს და ხან ჩალასავით გამოფიტულ პურს აცხობენ და ასაღებენ, რომ არაფერს არა გავს.—რო მიხვიდეთ და დაუწუნოთ უვარგისი პური, ასეთ პასუხს მოგახლიან: „შენ კი არა პრიჰტავი მიირთმევს ჩვენ პურსაო, თუ არ მოგწონთ წადით და პოლიციაში გამოაცხადეთო".

ამდენ სიავესთან ხაშურს ერთი კარგიც ჰქონს;—ეს კარგი ის არი, რომ აქ ბ-ნ იოსებ ფანცულაიას მეცადინეობით და შრომით საზაფხულო თეატრი აშენეს, სადაც დრო გამოშვებით სცენის მოყვარულნი მართავენ ქართულ წარმოდგენებს და ხალხიც ბლომათ ესწრება; მაგრამ ხშირათ შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავს, რადგანაც თითქმის უმეტესობას უფულოთ სურს თეატრში შესვლა. ესეც კარგია, რომ ხალხს თეატრის გემო და სიყვარული უგრძვნია, იმედია, როცა სავსებით ძვალსა და რბილში გაუჯდება ხალხს თეატრის გემო და სიყვარული, შემდეგ, რა თქმა უნდა, თეატრის საქმეც კარგათ წავა. ვისურვებთ, რომ ბ-ნ ფანცულაიას დანერგილ საქმეს კარგი ნაყოფი გამოეღოს.

ვ. მასხულია.

***

სოფ. ძიმითი (გურია) ვინ არ იცის, რომ როცა სოფელში სახელმწიფო გადასახადის ალება სურთ, ეს წინდაწინ გამოეცხადება ყველას საზოგადოთ, და მერე თვით საქმეს შეუდგებიან. სულ სხვანაირათ მოიქცენ ამას წინეთ ჩვენ სოფელში. ივლისის გასულს, საზოგადოების გაუგებლათ, შეკრებილიყვნენ შვიდი-რვა კაცი: ხარჯის ამღები (сборщикъ), ნაცვალი, მოწმე, დამფასებელი, ყარაულები იარაღებით,



ბავშვების საავადმყოფო ლონდონში.

და სოფლათ დაიარებოდენ; სადაც მიეიდოდენ ამ სიტყვებით მიმართაედენ: „ახლავე როგორც იყოს ფოშტის ფული უნდა მოგვეცეთ, თუ არა და საწინდარი (გირაო) უნდა წაეიღოთო“. რასაკვირეელია, ასე ხელათ ნაღდი ფული მთელ საზოგადოებაში ათ ოჯახს არ ექნებოდა. ამიტომ არ დარჩენილა ხსენებულ საზოგადოებაში ისეთი ოჯახი, რომ საწინდარი არ წაეღოთ. ეინც უნდა ყოფილიყო, არ დაცლიდენ, თუნდაც ცოდნოდათ, რომ ერთ საათში უსათუოთ ფულს წარუდგენდა. კანონის ძალით, პირეელათ ერთხელ მაინც უნდა ჩამოეელოთ და უკეთუ ეისმეს ფული ექნებოდა, გამოერთეათ, ეისაც არ ექნებოდა, უნდა დაეეალებიათ, რომ დანიშნულ დროზე, უსათუოთ წა-

რეჯგინათ. თუ დანიშნულ დროზე საზოგადოება ფულს არ დაამზადებდა, იმ შემთხვევაში ნება ექნებოდათ ღირებული საწინდარი გაეტანათ ოჯახიდან. იმათ კი პირველათვე ხუთ მანეთათ ღირებული ნივთი ორ მანეთში მიჰქონდათ. აუცილებლათ საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს.

მათე რუსიძე.

***

ს. ნიგოითი. ეს რამდენიმე თვეა, რაც თ. დიმიტრი მაჭუტაძემ ითხოვა ნიგოითში უფასო სამკითხველოს გახსნის ნება-რთვა. დღეს ძლივს ეღირსეთ ამ ნება-რთვას და თ. დ. მაჭუტაძე საქმის განხორციელებას შეუდგა. მან შეიძინა სამკითხველოსათვის შვენიერი სახლი თ ვის ხარჯით და აგრეთვე კისრულობს ყოველ გვარ დახმარებას. მაგრამ საჭიროა ამ სასარგებლო საქმეს დაეხმაროს მთელი საზოგადოება. სწორეთ დიდი მადლობის ღირსია თ. მაჭუტაძე, რომელიც არავითარ კეთილ საქმეს გვერდს არ უხვევს და შეძლების და გვარათ ყოველ გვარ შემწეობას უჩენს. ვინც კი შემწეობას აღმოუჩენს რითიმე ჩვენს ნორჩ სამკითხველოს, ვთხოვთ გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: Ст. Нигоити Нигойтской безплатной читальнѣ.

გ. შუქონია.

# ბავშების თავშესაფერი და საავათმყოფო.

დიდრონ ქალაქებში, მეტადრე სადაც ბევრი ქარხანები და წარმოებაა, აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ ბავშებისთვის თავშესაფარის და საავათმყოფოს გამართვა. დედაკაცები კაცებივით გადიან სამუშაოთ და ბავშებს შენახვა უნდათ. არც სახეიროა, როდესაც ავათმყოფ ბავშებს დააწვენენ დიდებთან ერთათ სამკურნალოში. ამიტომაც ყველა კარგა მოწყობილ ევროპიულ ქალაქებში უსათუოთ არის ხოლმე ბავშებისთვის თავშესაფარი და საავათმყოფო და ამის ხარჯი მთლათ აწევბა ან ქალაქს, ან ქველმომქმედ პირებს. ჩვენ მოგვყავს ორი სურათი ქალაქ ლონდონის საავათმყოფოსი. ერთზე ნაჩვენებია სუფთათ მოწყობილი ოთახი, ავათმყოფ ბავშებით სავსე თავიანთ



ინგლისის დედოფალი ვიქტორია ბავშების საავათმყოფოს ათვალიერებს.

მომვლელებით. მეორე სურათზე დახატულია დედოფალი ვიქტორია, რომელიც თავის ამალით ათვალიერებს ავათმყოფ ბავშვებს.

ორი წელიწადი იქნება, რაც თბილისშიაც ერთ მდიდარ სომხის ოჯახმა (ალიხანოვისამ) განიზრახა ბავშვებისთვის თავშესაფარის გამართვა. ქალები ისე თავგამოდებით აგროვებდენ და ახლაც აგროვებენ ფულს, რომ საქმე დაგვირგვინდა. თავშესაფარს ჰქვია „Ясли“ (ბაგა), ვერაზეა გამართული და ყველა მუშა-ხალხის ოჯახს შეუძლია ნორჩი ბავშვები თავიანთ მუშაობის დროს იქ მიაბარონ. თავდაპირველათ ძალიან ცოტას თურმე აბარებდენ, ჩვენი ქართველებისთვის აგრე რიგათ გამოსადეგი არ არი, რადგან ჩვენი დედაკაცი უფრო სახლში მუშაობს, მაგრამ თბილისში ისე არეულია სხვა-და-სხვა ტომთა ხალხი, რომ მუშტარი არ გამოელევა ამ თავშესაფარს. ახლა საავათმყოფო განყოფილებაც მიუმატებიათ.

ტ.

* * *

ვინც საქვეყნო სარბიელზე
ქველ-მოქმედათ გამოსულა,
ვინც ხალხისთვის წმინდა აზრით
და გრძნობითა გამსჭვალულა,
ვინც თავის თავს რაცხს მოვალეთ
ხალხისათვის მოსახმარათ,
ვინც მაცხოვრის წმიდა მცნებით
ალჭურვილა საომარათ,—
იყოს იგი უფლისაგან,
ჩვენ საამოდ-გასახარათ,
კურთხეული ყოველის გზით
და დღეგრძელი მარად!.. მარად!..

ლასინი.

## ენის წარმოდგომაზე.

(Über den Ursprung der Sprache.)

დრ. გ. ს. ზეემანისა.

თარგმნილი გერმანულიდან. *)

სიტყვათა წარმოდგომა თუ განვითარება საზოგადოთ სულ სხვა-და-სხვა გვარათ ხდება იმის მიხედვით, თუ რა პირობებში ცხოვრებენ ტომნი და ხალხნი, თუ რა ბედ-იღბალი ხვდებათ იმათ წილათ, და უფრო კი იმის კვალობაზე, თუ რა ბუნებითი ნიჭის პატრონნი არიან ისინი. აბელი შენიშნავს და აქ მეც თითქმის სიტყვა-სიტყვით მივყვები იმას: „როგორც ძველი ენებიდან და კიდევ უფრო პირვანდელ (პრიმიტიულ) ერთა დღევანდელი ლაპარაკის კილოდან ჩანს, ადამიანი ვიდრე მიახწევდა კულტურულ ერთა მსჯელობა—აზროვნობის დღევანდელ ძლიერებამდე, დიდხანს ულონო იყო, რომ მოვლენაში ზოგადი (საერთო) თვისება ამოეჩინა და იმის და კვალათ სახელი დაერქმია იმისთვის. რაც უნდა გასაკვირველი იყოს ეს ჩვენი შეხედულებით, არსებობენ იმისთანა ადგილები, სადაც მცხოვრებლებს არ შეუძლიათ გამოხატონ არც ხე, არც ჩირგვი, ცხოველი, თევზი, ფრინველი და სხვ. ამისთანა მარტივ საგნებისთვის იმათ არა აქვთ სიტყვა. იმათ შეუძლიათ: თითოეული ხის ჯიშს, თითოეული ცხოველის გვარს კერძო სახელი უწოდონ. იმათ არ შაუძლიათ შეამჩნიონ ზოგადი თვისებანი თითოეული გვარისა, განაცალკევონ ეს თვისებანი კერძო მოვლენის თავისებურობიდან და ამნაირათ წარმომდგარნი განყენებანი (აბსტრაქციები) დაუქვემდებარონ ერთ განსაზღვრულ სახელ-წოდებას. ისინი არჩევენ, მაგ., ერთი მეორისგან კაპს (თევზ), გველ-თევზას, ქარი ყლაპიას (щука), კალმახსა და სხვ., მაგრამ ვერ მისულან იმათ საერთო თვისების გამომხატველ სიტყვამდე, ვერ მოუგონიათ სიტყვა, „თევზი“. იმათ იციან და სახელს უწოდებენ არწივს, ბუსა, შავარდენს, სირაქლემას და სხვ., მაგრამ ვერ მიუხწევიათ ზოგად შემეცნებამდე და ვერ უხმარიათ სიტყვა „ფ რ ი ნ ვ ე ლ ი“. აგრეთვე ბზა არის მათთვის მხოლოთ ბზა, ნაძვი მხოლოთ ნაძვი, კედრი—მხოლოთ კედრი და არც ერთი მათგანი არ იცნობება, როგორც ხე. ამნაირათ, ეს ზოგადი შემეცნება ვერ გამოიხატება ამ საგვარო, საჯიშო სახელ-წოდებით. კიდევ უფრო ნაკლებ შეუძლიათ ადამიანის მოქმედებანი განსაზღვრონ აბსტრაკტული (განყენებითი) სახით. აზიაში ცხოვრებენ იმისთანა ერნი (ხალხნი), რომელთაც სრულიად არა აქვთ სიტყვები წასვლისათვის (წასვლა) და მოსვლისათვის (მოსვლა), თუმცა, მართალია, ზოგიერთებს ორმოცი სიტყვა აქვთ სხვა-და-სხვა გვარი წასვლის და ზოგიერთებს ოც-და-ათი სიტყვა სხვა-და-სხვა გვარი მოსვლის გამომხატველნი. სწორეთ სიარული, მრუდეთ სიარული, ნელ-ნელა სიარული, მაგრათ სიარული და სხვ., —თითოეული წარმოუდგენიათ სიარულის იმდენათ თავისებურ და იმდენათ განსაკუთრებულ გვარათ, რომ იმათ ერთმანეთთან არაფერი საერთო არა აქვთ რა, რისთვისაც მათი საერთო სახელით

*) იხ. „კვალი“ № 35.

ხმობა თითქოს შეუძლებელია; წუთიერი გრძნობის შთაბეჭდილება ჰარბობს, განყენებითი ნიჭი არ არსებობს. დიახ, აფრიკაში ცხოვრებენ იმისთანა ხალხნი, რომლებიც სხვა-და-სხვა სახელს უწოდებენ ერთ და იმავე მოქმედებას, იმის მიხედვით: მამა-კაცის მიერ არის გაკეთებული ეს საქმე თუ დედაკაცის, იმიტომ რომ ადგილობრივი მცხოვრებნი – არ ვიცი კი შვენიერი სქესისადმი თავაზიანობისა თუ არა თავაზიანობისაგამო მოზდით ეს—თითქოს იმ აზრისანი არიან, ვითომ რადიკალური (ძირეული) განსხვავება არსებობდეს მამაკაცისა და დედაკაცის მუშაობაში. თითოეული არსების ცალ-ცალკე ნაწილებათ დაყოფაში და სხვა-და-სხვა დამოკიდებულებათა გარჩევაში ყოვლად უნიჭონი არიან ერთი მხრით ამერიკელი ინდოელები. ამ საწყლებს ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეუძლია ადამიანს თქვას: ხელი, თავი, ფეხი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი; რადგან ისინი ყველა ამ ნივთებს ყოველთვის კერძო ადამიანის მფლობელობაში (საკუთრებათ) ხედავენ, ველარ მიმხვდარან, თუ როგორ შესაძლოა ამ ნივთების პატრონისაგან განშორება. ამიტომ ისინი ყოველთვის მხოლოთ ასე ლაპარაკობენ: ჩემი თავი, შენი თავი, იმისი თავი, ჩვენი თავი, თქვენი თავი, იმათი თავი, მაგრამ არაოდეს—მარტო თავი. კუთვნილობითი ნაცვალ სახელი განუყოფელათ შეკავშირებულია სახელ-არსებითთან.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის, თუ რას ნიშნავს ადამიანათ ყოფნა, როცა გვეცოდინება, თუ რა ძნელი იყო ადამიანათ გახდომა! ყველა ამ განუვითარებელ ერთა მდიდარი ლექსიკონი აქვთ, ვინაიდან ისინი მახვილი გრძნობის პატრონნი არიან (კარგათ გრძნობენ), მაგრამ სუსტათ აზროვნობენ, ბევრსა ხედვენ, მაგრამ ცოტას შინჯვენ, უცბათ გაიცნობენ ფენომენს (მოვლენას), მაგრამ გვიან ან სულ ვერ მოაცილებენ იმას არსებით თვისებათა და ვერ აღმოაჩენენ ამ უკანასკნელთ მეორე მზგავს, მაგრამ არა იმავე მოვლენაში. სულ სხვას ვხედავთ ამ ჟამათ ევროპაში; ნამდვილი აბსტრაქციის ნიჭი აქ საზოგადოების ყველა ნაწილისათვის საერთო საუნჯე გამხდარა. აქ იშვიათათ იპოვით ისეთ უნიჭოს, რომელსაც არ ჰქონდეს წარმოდგენა და არ იცოდეს სახელი იმისთანა საგვარო შემეცნებათა, როგორც ცხოველი, ფრინველი, თევზი, მცენარე, ყვავილი, ტანისამოსი, იარაღი და სხვ., მაგრამ რაკი ეს საზოგადო შემეცნებანი ერთხელ შეძენილნი არიან, სამაგიეროთ წვრილმანების აღნიშვნა ძნელდება. როცა ადამიანებმა თანდათანი სულიერი წარმატების მეოხებით შეიმუშავეს იმ გვარ შემეცნებათა გამოსახატავათ, როგორც, მაგალ., კეთება, წასვლა, მოსვლა, ნივთი, საგანი და სხვა, ერთი საერთო სიტყვა, მაშინ დარწმუნდენ, რომ ამგვარ ზოგად შემეცნებათა ხმარება უმჯობესია ლაპარაკის დროს, ვინემ ერთ და იგივე იდეიის გამოსათქმელათ ათასგვარ სიტყვებს მიემართოთ. აბსტრაქტული ნიჭის განვითარებამ შეასუსტა კონკრეტულ საგნებში განსხვავების აღმოჩენა; ამას ხელი შეუწყო შრომის განვითარებამ ანუ განაწილებამ, რადგანაც ეს უკანასკნელი გარემოება უფრო ერთფეროვნებს მოქმედებას. ჩვეულებრივი ცხოვრება, რომელიც ყოველ დღე მიმდინარეობს ერთგვარ კალაპოტში, აღარ თხოულობს ასე სწორე გამოხატვას ლაპარაკის დროს. რისთვის უნდა გაერჩიათ იმათ კიდევ ორმოცი სხვა-და-სხვა გვარი სიარული, როდესაც იმათ თითქმის ყოველთვის ერთ და იმავე სიარულთან—ჩვეულებრივ სამუშაოსკენ წასვლა და იქიდან წამოსვლა-სთან, ჰქონდათ საქმე? ხოლო განათლებულნი? ხმარობენ კია ესენიც დაახლოებით 50 000 სიტყვებს ფრანგული ლექსიკონისას, 100,000 სიტყვებს ინგლისურისას, 200,000 რუსულისას და კიდევ მეტს გერმანულისას, სიტყვებს, რომლებიც იმათ განკარგულებაშია? თუ რამდენიმეთ მაინც გვსურს ამ დიდ მნიშვნელოვანი კითხვის ახსნა საჭიროა პირველათ ის გამოვარკვიოთ, თუ როგორ წარმოდგა სიტყვათა ასეთი დიდი სისწორე. ეგვიპტური ენის მოწმობით, რომელიც ყველაზე უფრო შეურყეველ საფუძველს გვაძლევს იმ კითხვის გამოსარკვევათ, თუ საიდან და როგორ წარმოდგა და განვითარდა ენა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველში არსებობდა დიდ-ძალი რიცხვი სიტყვათა თითოეული შემეცნების გამოსახატავათ, მაგრამ ეს სიტყვები ამასთანავე განუსაზღვრელი შინაარსისანი იყვენ. ამ სახით ბევრი სიტყვა იყო სიარულისა, მიცემისა, ცემის და სხვა მნიშვნელობისა და თითოეული მათგანი აღნიშნავდა ალბათ სხვა-და-სხვა გვარ სიარულს, მიცემას, ცემას და სხვ. ენის წარმატებამ ის ქნა, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვათა რიცხვი თანდათან შემცირდა. შესანიშნავია აქ ის გარემოება, რომ თუ პირვანდელ ენებს შევადარებთ ერთი ერთმანეთს, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით შემდეგში: უფრო ნიჭიერმა ხალხმა შეჰქმნა შემეცნებანი როგორც გვარის (კლასის), ისე ყოველივე გვარის თითოეულ მოვლენასაც თავ-თავისი სახელი დაარქვა, მაშინ როდესაც განუვითარებელ (უნიჭო) ხალხებმა მხოლოთ ეს უკანასკნელი შეძლეს. უნიჭიერეს ხალხს ჰქონდა ამ სახით ზოგადი შემეცნება „სვლა“ და სპეციალური შემეცნებანი: გაჩქარება, ცოცვა, რბენა, ნაბიჯით-სვლა, სწრაფლ-რბენა და სხვ.; განუვითარებელ ხალხმა კი შექმნა მხოლოთ უკანასკნელი სიტყვები დ ზოგადი შემეცნება „სვლა“

კი ვერა. სინონიმურ სიტყვათა გარჩევა ამ ორ გვარ ხალხში ასე წარმოდგა: განუვითარებელ ხალხმა პირველი გრძნობის შთაბეჭდილებანი, რითაც ისაზღვრება საბოლოოთ მათი ენა, მეტის-მეტათ სწორეთ განავითარეს, ასე რომ, თუმცა მათი წარმოდგენანი თითქმის მარტო ამ ვიწრო სფერაში ტრიალებენ, მაგრამ სამაგიეროთ სხვა-და-სხვა გვარათ და ცოცხლათ არიან გამოხატულნი. ვინაიდან ამგვარ ხალხთა წევრნი ყველანი ერთ და იმავე წერტილზე დგანან, ამიტომ ენის საუნჯე დარჩა ღარიბი აზრებით, მაგრამ, მეორე მხრით, ყველა აზრები, რომლებსაც კი შეიცავს იმათი გონებითი საუნჯე, და მთელი დაწვრილებითი განსხვავება სინონიურ სიტყვათა, ცოტათ თუ ბევრათ საერთონი იყვენ და არიან ყველასთვის, ვინც კი ეკუთნის იმათ რიცხვს. იმათ ბევრში დაიცვეს პირვანდელ ადამიანთა ნიჭი ახალ შესანიშნავ ბგეროვან კავშირთა ე. ი. ახალ ფესვის სიტყვათა შექმნისა; მაგალ., ჰოტტენტოტებს და სხვა აფრიკის მცხოვრებლებს თავიანთ ნაციონალურ ლექსიკონთა უეცრივი შევსებით ჯერ ჩვენ დროშიაც განცვიფრებაში შეჰყავთ იმათ გვერდზე დასახლებული ევროპიელები. მაგრამ რაც უნდა ნაყოფიერი ყოფილიყო ეს გარემოება, იმათ ვერ გადააცილეს კონკრეტულ სიტყვებს, ვერ მიახწიეს აბსტრაქციამდე და ამ სახით თავის აზროვნებით ისინი არსებითათ განვითარების მდაბალ საფეხურს ვერ გაცილდენ.

სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ განვითარებულ ხალხში. როდესაც ესენი გამოვიდენ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ცოტათ თუ ბევრათ ახლაც იმყოფებიან ველურნი და ნახევრათ ველურნი ხალხნი და მიახწიეს აბსტაქტულ შემეცნებათამდე, იმათ დაივიწყეს მრავალი სიტყვები, კონკრეტულ საგანთა თუ მოვლენათა აღმნიშვნელნი. მაგრამ ამით იმათ არაფერი წაუგიათ, რადგანაც სამაგიეროთ შეიმუშავეს ზოგადი შემეცნებანი, საგვარო ანუ საკლასო სახელწოდებანი, როგორც მაკალ., ცხოველი, თევზი, ხე, სიარული, კეთება და სხვ. ამნაირათ იმათ თანდათან შეჰქმნეს ისეთი მდიდარი ნომენკლატურა ყველა სხვა-და-სხვა გვარ გრძნობის, ფიქრის, მსჯელობის და სურვილის გამოსახატათ, ნომეკლატურა, რომლის მზგავსი დაბალ ხალხებს არც კი შეუძლიათ, რომ წარმოიდგინონ; ხოლო განვითარებულ ერთ ისე გაუმდიდრებიათ ის და კიდევაც განუწყვეტლათ ამდიდრებენ, რომ ახლა ის შეიცავს იმათ ლექსიკონების უმეტესს ნაწილს. რაც ბადავს და ავითარებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც იწვევს განათლებულ ერთა განვითარებულ წრეებში (წოდებებში) მრავალ-ფეროვან და დახლართულ დამოკიდებულებათა, ერთი მხრით, ადამიანთა შორის, და მეორე მხრით, კლასთა შორის,—ყოველივე ესე კიდევ უფრო ამაღლებს აზროვნებას და მის გამოხატვას. საკლასო სახელები მეტის-მეტათ მალე გამრავლდენ, რადგან არა თუ თითოეული გვარი (კლასი) მოვლენათა დაქვემდებარა იმათ საერთო თვალთა-ხედვის ისარს, არამედ დადგენილ და სახელწოდებულ იქმნენ თვით დამოკიდებულებანი ამ მოვლენათა შორის. შემოიღეს არა მარტო სახელწოდებანი: კაცი, ბავში, მცენარე და სხვ.,—არამედ ასეთი შემეცნებანი, როგორც, მაგალ., დრო, ადგილი, რიცხვი, მიზეზი, მიზანი, არსებობა, დამოკიდებულება, ყოფნა, შესრულება და სხვ. მთელი ეს გამრავლება სიტყვათა საუნჯისა წარმოდგა ახალ ფესვთა შეუქნელათ: ან სიტყვების შეერთებით და უკვე არსებულ სიტყვების გარდაღებით ხმარების მეოხებით, ან სალიტერატურო ენაში დიალექტური სიტყვების შემოტანითა, ანა და კიდევ უცხო ენიდან სიტყვების შემოტანით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შედარებით ის მცირე ფესვები, რომლებიც შერჩათ ნიჭით უფრო დაჯილდოებულ ხალხთ, მას შემდეგ რაც იმათ მიახწიეს აბსტრაქტულ მსჯელობამდე, წარმოადგენდენ ძირითად მასალას სიტყვათა კრებულისათვის, სანამ გაიფურჩქენ შემდეგში მათი ლექსიკონები. პირველათ აბსტრაქტულ (განყენებითი) მსჯელობის შეძენამ გაალარიბა ენა, აბსტრაქციის ნიჭიერების აწევის წყალობით ცოდნისა და ცივილიზაციის წარმატების დროს სულ რამდენიმე ას მილებულ ფესვთაგან აღმოცენდა ურიცხვი ძირები, ღერები და ტოტები. მაგრამ ამ დიდებულ ზრდას თავისი ცუდი მხარეებიც ჰქონდა.

პ. გ. ჭარაია.

(დასასრული იქნება)

## ნ ე ტ ა ვ  ი მ ა ს.

გუძღვნი ნ. დ—ანის ხსოვნას.

ნეტავ იმას, ვის ცხოვრების ტალღები,
მის სიცოცხლეს არც კი მიჰკარებია;
მისსა სურვილს, მის ფიქრთა მისწრაფებას,
დაბრკოლება არ გადალობებია.

—

ნეტავ იმას, ვისაც სიტკბოს ფიალა,
ნაღველ შხამათ, სამსალათ არ ჰქცევია

და მისდამი მომავალს უბედობას,
ერთხელ მაინც მხარი აუქციეთ.

—

და რაც რწამდა ღმერთათ, ხატათ, სამოთხეთ
ჯოჯოხეთის ცეცხლათ არა ჰქცევია
და ძმათაგან ნაცვლათ ნუგეშის-ცემის,
შეჩვენება წილათ არა რგებია.

—

და ის უთქვამს თამამათ, შეუპოვრათ,
რაცა სტანჯავს და ღრმათ გულს ჩარჩენია:
და ამ გვარათ იგი ბედით დამტკბარი,
ამ ცრუ სოფელს ისე განშორებია;
თვისს სამშობლოს მხურვალე დედამიწას
გულს ჩაუკრავს და მას შეჰკედლებია.

გნ. ნინო ორბელიანისა.

## მგზავრის შენიშვნები.

ჭალის მთა და მისი აბანოები, იმერეთის და ქართლის საზღვარი, სოფ. წონა, ერწოს ტბა და ჭიათურის გზა.

როგორც ქართლელი შეჩვეული თვალ-გადუწვდენელ მინდორს და ველებს, სადაც ალაგ-ალაგ მოჩანს შავი მიწური ქოხები და თუ არ მაღალი ყოყოჩათ მდგომი კოშკები, გარეშე კაცი ვერც კი მიხვდება, რომ სოფლებს ხედავს, მე რაღაც კრძალვით და გაოცებით შევცქეროდი იმერეთის ბუნებას: მაღალ, მწვანით შემოსილ მთებს, რომლებზედაც აქა იქ მერცხლის ბუდესავით მიკრულია ძელურები. ქართლში ჩვენ სულ დაბლა მიწაში ვიცქირებით, იქ ვეძებთ ხალხს, იმერეთში კი სულ მაღლა, ზეცისკენ უნდა გაიყურებოდეს კაცი.

ცოტა ხნობით მოგზაურს, მეტადრე ზაფხულში, მხოლოთ ბუნების მხრით შეუძლია შედარება იმერეთის და ქართლის ყოფა ცხოვრებისა. მეც სულაც ფიქრათ არა მაქვს გამოვიკვლიო იმერეთში რატომ უფრო ცოტა მიწაა და ხალხი ფხიზელნი, მარჯვე მუშაკნი არიან და ქართლში კი სულ სხვას ვხედავთ. მე მხოლოთ გარეგან შთაბეჭდილებას გადმოგცემთ, იმას, რაც ვნახე; ფრანცები რომ იტყვიან: á vol d'oiseau.

ძველებურ ნანგრევებს იმერეთშიაც თვალი ბლომათ ხედავს. ამ უხვი წყალობით დალოცვილია ჩვენი საქართველოს ყოველი კუთხე, და, რა საკვირველია, აქაც უმეტეს ნაწილს ამ ნანგრევებისას მიაწერენ თამარ დედოფლის დროისას. თითონ ჭალის მთა, სადაც ვმოგზაურობდი, სივრცით იქნება 600,000 (ექვსასი ათასი) დესეტინა და შეადგენს გაუყოფელს, საერთო მამულს აბაშიძეების, წერეთლების და სხვა ახალ მონაწილეებისას (ყიდვით შეძენილი აქვს ბევრ გლეხობასაც). რიცხვი მონაწილეებისა მრავალია, მთაბარი დიდია, ყველას იმედი აქვს, რომ ამ მთაში მოიპოვება ნავთი, რკინა, აბანოები და სხვა სიმდიდრე, ამიტომაც ამ მთის გაყოფა, რომ ყველა მონაწილე დაკმაყოფილდეს, ბევრს შეუძლებლათ მიაჩნია. სიმდიდრის შოვნის იმედები ყველას დიდი აქვს; შესცქერიან ეს დალოცვილები მთას და იმედებით ტკბებიან. ამ მთის შემოსავალი აქამდის არაფერი იყო, მხოლოთ, ვისაც მკლავი მძლავრი ჰქონდა, შევიდოდა ტყეში, ამოირჩევდა ადგილს; ყანათ გაიკეთებდა, თუ დაჭირდებოდა სახლსაც დაიდგამდა, გამოზიდავდა ტყიდან რაც სულს და გულს უნდოდა, ძვირფას ხეებს, ხშირათ ერთი გობისთვის წააქცევდა უშველებელ ცაცხვის და თელის ხეებს. ასე იყო ჭალის მთის მდგომარეობა. ეს რვა-ცხრა წელიწადია უნდათ, გაიგონ რა სიმდიდრეა ჭალაში: ბევრი უცხოელიც მოსულა, ნავთის წარმოებაც ცოტაოდნათ დაუწყია და ამით გათავებულა საქმე, რადგან მთის სიმდიდრის გამოკვლევას მილიონები ესაჭიროება. ახლაც, ამ ცოტა ხანში, აპირებენ წარმოების დაწყებას—რკინისა და ნავთის ძებნას, აბანოების გამართვას; მთა შეჰკრეს კიდეც, რომ ტყე არ განადგურდეს და სხვა. ვისურვებთ საკეთილოთ ამ საქმის დაგვირგვინებას. აქეთი მხარე, შვენიერი ბუნებით მდიდარია, დასახლებულია უმეტესათ ღარიბი აზნაურშვილებით, იმათ ჯერ არ მიჰკარებიათ არც ნამდვილი და არც ცრუ განათლება, აქ არ გაიგონებთ აჭრელებულ ლაპარაკს; დაცულია ნამდვილი ქართული ენა და ზდილობიანი სიტყვა-პასუხი.

მოვისურვე ჭალის მთის აბანოების ნახვა, თუმცა ყველა მაშინებდა: გზები ისე უვარგისია, რომ ცხენითაც ძნელათ მიახწევს კაციო. მაგრამ სწორეთ ჩემ ჭალაში ყოფნის დროს საჩხერის ბოქაულის ბ-ნი ფიცხელაურის შემწეობით, რომელმაც დიდი მადლობა დაიმსახურა ყველასაგან, გზა ისე შვენივრათ გააკეთეს სოფლელებმა, რომ ახლა ურემიც ადვილათ მიდის აბანოებამდის. ხალხში დიდი ხმა აქვს ამ აბანოებს, სამი-ოთხი დღის სავალიდან მოდიან სამკურნალოთ, თუმცა აქ ჯერ-ჯერობით ხეირიანათ არაფერი არ არის გამართული. საგზალი ყველას თან მოაქვთ, ამიტომაც სამ-ოთხ დღის მეტს ვერა რჩებიან. მაგრამ მაინც თავი განკურნებული ჰგონიათ დ

ამ აბანოებს სამოთხეს ეძახიან. როდესაც იქიდან ვბრუნდებოდით ასე გვეკითხებოდენ მიმავალნი: სამოთხეს მალე მივალთო?

აქ სამნაირი წყალია: რკინისა, გოგირდისა და სასმელი მჟავე წყალი, რომელიც გემოთი ძალიან მიეგვანება ბორჯომის და „ვიშის“ წყალს. სასიამოვნო დასალევი იქნებოდა ეს წყალი, რომ ცოტა ნავთის გემო არ ჰქონდეს; თურმე ამ აბანოებთანაც ყოფილა ნავთის ორმოები, თუმცა უმეტესი ნაწილი ნავთის ორმოებისა აბანოებთან მოშორებით არის.

აქ კიდევ ხალხს უპოვია რაღაც სასუნებელი მიწა და ძალიან რწამთ, რომ უშვილოს შვილს გაუჩენს. მხოლოთ წელს გააკეთეს აქ ხის ოთხ თვალიანი სახლი, თორემ ქოხები, რომლებიც ავათმყოფებისთვის არის ზედ წყალზე მიკრული, ისე პატარები და დაბალია, რომ ადამიანი შიგ ძლივს თავსდება. დაბალ ხალხს ძალიან უყვარს ცხელ წყალში ბანაობა, ისე რომ ზოგი, სანამ გული არ შეუწუხდება, არ ამოდის ვანიდან. უმეტესობა ქარებით ავათმყოფებია და დახუთული.

აქეთ მხარეს ისეთი მაღალი ბალახი და იშვიათი ყვავილებია, რომ ჩვენი ცხენები შიგ იმალებდენ; არე-მარე თუ არ უკეთესი ბორჯომზე და აბასთუმანზე ნაკლები არ არის, მაგრამ აქაურობის მოწყობას, წყლების მნიშვნელობის გამოკვლევას და გამართვას ბევრი ჯაფა და ფული მოუნდება. ყოველ ნაბიჯზე ჩანჩქერები, მოჩუხჩუხე მდინარე ყვირალა, გაუვალი ტყე, უცხო ყვავილები, — ყველა ეს მაგონებდა ამერიკის ტყეების აწერას, როდესაც იქ პირველათ სახლდებოდა ხალხი. მჟავე წყლის სმას ისე შევეჩვიე, რომ როდესაც გავემგზავრე ოსებში, სულ მჟავე წყალს ვკითხულობდი. აბანოებზე დავრჩი ორი-სამი დღე და აქიდან მოვინდომეთ ქალებმა შორაპნის საზღვრის გადავლა და სოფელი წონის ნახვა. ამაზე აგვიბუნტდენ ჩვენი ბელადები: გზები ისეთი უხეიროაო, რომ კაცებიც ძნელათ გადადიანო და ქალების წაყვანა შეუძლებლათ მიიჩნიეს; მაგრამ ჩვენმა თხოვნა-ვედრებამ გასჭრა, მოგვიყვანეს ამ გზაზე ნაჩვევი ოსების ცხენები და ოთხი ქალი ჩვენი „კავალერებით“ შევუდექით გზას. ერთი ჩვენგანი, იმერლის ახალგაზდა ქალი, შვენიერი ცხენოსანი იყო, რომელიც წინ მიგვიძღოდა და აშვენებდა ჩვენ მოგზაურობას, მეორე უცხოელი ქალი ხურჯინივით დავაკარით ცხენზე, მესამე ქალი იქნება კაი ცხენოსანიც იყო, მაგრამ კეხზე ჯდომა შეხვდა და სულ გვებუზღუნებოდა, მეოთხე ცხენოსანი ქალი გახლდით მე, რომელიც ათ წელიწადში ერთხელ თუ შევჯდები ცხენზე; მაგრამ ჩვენ კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. როგორც იყო შევუდექით გზას და ავცოცდით კლდე-ალმართზე. სადაც იმერეთისა (ქალის მთის) და ქართლის საზღვარია, იქიდან შესანიშნავი გადასახედია; როდესაც არე-მარე ნისლით არ არის მოცული, თურმე მთელი ქართლ-იმერეთი ხელის გულზე ჩანს, ქუთაისის ქუჩებიც კი გაირჩევაო — ამბობენ. ჩვენ, თუმცა ბინოკლით ვუცქერდით ბევრი ვერა დავინახეთ-რა, რადგან ნისლი იდგა. რაც შეეხება საზღვარს, რომელზედაც დასაბამიდან სულ დავიდარაბა არის და ყოფილა, ბუნება თითქოს ეხმარება მის გასაზღვრას: მთის მწვერვალი წარმოადგენს ერთ უშველებელ სამანს. რადგან ამ ბოლო დროს რუსულ გაზეთებში ეწერა მაჩაბლების ჩივილ-გოდება, რომ აბაშიძეები გვართმევენ მამულსო, ამაზე მე ჩამოვუგდე ლაპარაკი ოსების პატივცემულ მოწინავე პირებს და იმათაც მიპასუხეს: რომ არა თუ ეს საზღვარი, რომელიც შარშან მაჩაბლების და აბაშიძეების თანხმობით გამოკვლეული და შეწყნარებულიც არის, ძველი დროიდან ჩვენც, ახლა სამაჩაბლო ოსები იმერეთის მეფე სოლომონს ვეკუთვნოდით ქაღალდით და მის ბძანებლობის ქვეშ ვიყავითო.

ამ მწვერვალიდან დავეშვით აგრეთ წოდებულ სამაჩაბლოში. თვალ-წინ წარმოგვიდგა დიდი ვაკე; გარშემორტყმული მაღალი, მწვანე მთებით და ყოველგვარ ბუნების შვენიერებით შემკული, რომელზედაც გაშენებულია ოსების სოფელი წონა. ამ სოფლისთვის შესაფერი სახელიც დაურქმევიათ: ვითომ წონა არა აქვს ისეთი ძვირფასიაო. აქ არ მოდის პური, არც სიმინდი, მაგრამ სიმდიდრით არც ერთი სოფელი თურმე არ შეედრება წონას. ჩემ მოგზაურობაში აქ პირველათ დავინახე კოშკი. შვენიერი ხის სახლები უდგიათ, მეტადრე ჩვენი მასპინძლის სახლმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომელსაც აშვენებდა: ჩუქურთმით მორთული განიერი ბალკონი, მაღალი დიდრონი ოთახები და ხელოვნურათ გაკეთებული სავარძლები. სუფრა სალფეტკებით და დანაჩანგლით-მორთული მაგიდა დაგვახვედრეს, მაგრამ ჩვენ ჯერ გავემგზავრეთ ერწოს ტბის და ყვირილის სათავის სანახავათ, რომელიც ორი-სამი ვერსის მანძილზეა წონადან. ერწოს ტბის წყალი ლურჯი ანკარაა, სიგრძე აქვს თითქმის ორი ვერსი, სიღრმით იქნება ერთ საჟენზე მეტი. ცხენი ვერ გავა შიგ. ნავი ჯერ არავის უცდია. ამბობენ ზამთარში ისე გაყინულია ხოლმე ეს ტბა, რომ ურმებით თივა გადააქვთო. წყალზე დიდ-ძალი ფრინველია, მეტადრე გარეული იხვები, მაგრამ ესენი ისე გაურბიან ადამიანს, რომ მათზე ნადირობა ძნელია. ჩვენთან უცაბედათ მოუხდა წამოსვლა ერთ მონადირეს, მაგრამ დახეთ უბედურებას. ხედავდა ფრინველს, თოფი მხარზე ედო, მაგრამ რომ მოეკლა კიდეც მეძებარი არა ჰყავდა,

რომ წყლიდან გამოეტანა. ჩვენც დაეცინოდით და ერთი ორათ ვუმწარებდით დღეს. ამბობენ, რომ ამ ერწოს ტბიდან იღებს სათავეს დაუცხრომელი და დაუნდობელი მდინარე ყვირილა. ვითომ ტბა შედის ერთ დიდ კლდის ქვეშ და ასე ორას ნაბიჯზე მოშორებით დაგვანახეს ამ კლდიდან გამოსული წყალი, რომელსაც თელიან ყვირილის სათავეთ, მაგრამ იქაური ოსები კი მარწმუნებდენ, რომ სათავე ყვირილისა სოფელ წონას მეორე მხარეს არისო; წყალი ჩამოდის კლდიდან ისეთი შუილ ქუხილით და ყვირილით, რომ სახელი ყვირილა იმიტომ დაარქვესო. ამის გამოკვლევას ვუთმობ უფრო მცოდნე კაცებს.

ძალა-უნებურათ უნდა მოვშორებულიყავით ამ შვენიერ ბუნებას. ისე მოხიბლული ვიყავით ამ სანახაობით, რომ არც დაღალვა გვეკარებოდა და არც შიმშილს ვგრძნობდით, მხოლოთ უცხოელმა ქალმა კი ინატრა ჩაი. წამოვედით ისევ წონას დასასვენებლათ. აქ დაგვახვედრა უხვი სადილი ჩვენმა მასპინძელმა, ერთმა შეძლებულმა ოსმა, მოხუცებულმა დოტომ. ამის ოჯახში ითვლება ორმოცი სული. თითონ ტკბილი მოხუცია, ერთი შვილი გამოზდილი ჰყავს გორის საოსტატო სემინარიაში. საზოგადოთ ამ სოფლელთ სიმდიდრეს შეადგენს ძროხა, ცხენი, ცხვარი, რადგან საკვები თივა-ბალახი და ქერი უხვათ აქვთ. აქვე დაგვიხვდა ჩვენ ლედელ-დიაკვანი ერწოს სოფლიდან. წონას არა აქვს საყდარი. მოხუცებულები უფრო ოსურათ ლაპარაკობენ. ახალ-გაზდებმა კი თითქმის ყველამ იცის ქართული. რაც შეეხება ახლათ გამოგონილ მათ მწიგნობრობას უნდა გამოვტყდე, რომ რაღაც არეულია ოსურ-რუსული ხმოვანები. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი არ ექნება და როგორც ნაძალადევი თავისთავათ გაქრება. მართალია, ოსური ლაპარაკი და ქართული ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ როგორც მეზობელი ხალხის ლაპარაკს უფრო შეითვისებენ, რადგანაც ერთმანეთში დიდი დამოკიდებულება და მისვლა-მოსვლა აქვთ. მე მომიხდა ამ ოჯახში ბავშის მონათვლა და როგორც შევიტყე ოსურ-რუსული ლოცვები იმათვისაც ისევე გაუგებარი იყო, როგორც ჩემთვის. ოსებში დედაკაცები უფრო მუშაობენ ვიდრე მამაკაცები. როდესაც ტბიდან ვბრუნდებოდით, გზა გზა ვხედავდით დედაკაცებს, რომლებიც მინდვრებში თიბავდენ. რაც მძიმე და გასაჭირი საქმეა, თურმე სულ ქალების კისერზეა. როდესაც შევედით დოტოს ოჯახში, ქალები სულ არა ჩანდენ. ეს მაშინვე შევამჩნიეთ და ვუთხარით, რომ უსათუოთ გვინდა იმათი ნახვა. ისინი ჯერ თავიდან გვიშორებდენ, ამბობდენ: მინდორში არიანო, მაგრამ როდესაც ჩავაცივდით, წაგვიყვანეს დიდ ხის დარბაზში. შუაში ცეცხლაპირას ქალები სადილს გვიმზადებდენ; ზოგი ჭადს აცხობდა, ზოგი ხაჭაპურებს. ჩემმა თანამოგზაურ ქალებმა დაიმკლავეს და დაუწყეს ხაჭაპურების გამოცხობაში შველა. ისე ვაგებინებდით ერთმანეთს ლაპარაკს, რომ ბოლოს დავუმეგობრდით ყველას. სადილზედაც, თუმცა ჩვენთან არ ისხდენ, გვემსახურებოდენ, მაგრამ სადღეგრძელოების სმაში მონაწილეობას იღებდენ. რასაკვირველია, არაყი და ლუდი ყველამ ბლომათ სვეს და მე ცოტა არ იყოს, როგორც ქალაქელი, ვშიშობდი ცუდი შედეგი არ მოჰყოლოდა ამ სმას, მაგრამ ბოლოს შევიტყე, რომ ოსებმა იშვიათათ იციან თავის დავიწყება და ნადიმობის დამთავრება ჩხუბით. ისეთი ნასიამოვნები წამოვედი იქიდან, რომ მაშინვე განვიზრახე თბილისში დაბრუნება. ცხენით წავედი ქვათურაში—ამ შავი ქვის ბუდეში. მთელი არე-მარე აქ გაშავებულია, ხალხი არაბებს მიეგვანება, დიდ ძალი მოძრაობაა, ყველა შავ ქვას დაეძებს და თურმე შავი ქვის პოვნა ადვილიც ყოფილა...

ამით გათავდა ჩემი ცხენით მოგზაურობა. უნდა რკინის გზით წამოვსულიყავ შორაპანში. ამ ვიწრო გზას, რომელიც შავიქვისთვის უფრო არის ვიდრე ხალხისთვის, ჯობია ფეხით ბეწვის გზა. მარტო ის კი არ არის საშიშელი, რომ შავ-ქვას აყრიან თავზე მგზავრს, თითონ ხალხის მატარებელიც ძველი და უვარგისია. სანამ ერთი სადგურიდან მიხვალთ მეორემდე, სული აღარ გრჩებათ შიშით. გველივით, კლაკვნით მიდის გრძლათ შავი კოლოფები და ჰგონია კაცს, რომ ეს-ეს არის უფსკრულის მსხვერპლათ ვიქცევით. მართლაც, ჩვენ რომ მივდიოდით ერთბაშათ მოისმა ტკაცუნი, შეინძრა ძალზე მატარებელი, ხალხი წამოცვივდა ადგილიდან, ამ დროს მატარებელიც შედგა, ვიკითხე რა ამბავია-მეთქი და დინჯათ მიპასუხეს მუდამ იქ მოსიარულე ხალხმა: კინაღამ ჩავარდით ხრამში. ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნებოდა, ვაგონები ძველია და სანამ ერთი უბედუ-

რება არ მოხდება და არ დაინსხვრევა, არ გამოცვლიანო, ახლაც ერთ ვაგონს, სიძველით მოცვდა რკინებიო. შორაპანში რომ მიეედით, ზოგიერთ პარაკლისის გადახდა უნდოდათ, მაგრამ აქ სულის მოსაბრუნებლათაც წყალი ძნელი საშოვარი იყო, თუმცა ბათომის მატარებელს ორ საათზე მეტს ველოდით.

განმე ქალი.

---

საქველ-მოქმედო საქმე.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში", შემდეგი: განსვენებული იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის სახელზე სტიპენდიის დასაარსებლათ შემოწირეს დაბა ცაგერიდან (ლეჩხუმის მაზრა) შემდეგ პირთ: 4 მან.: იოს. ხოცივარმა. 3 მან.: ანტ. ხაბურზანიამ, იოს. ჯინორიძემ, ვას. კეგამოემა, ალ. ბაქრაძემ, არშ. ასრიბეკოვმა, ილ. ჯაჯანიძემა, სარდ. დალაქიშვილმა 2 მან.: ლეონ. კლდიაშვილმა, ალ. მდივანმა, დავ. ნაზაროვმა, ივ. ჩიქოვანმა, ნიკ. კუპრაშვილმა. 1 მან.: მიხ. ჩიკვაიძემ, ა. ნოდიამ, პეტ. ასათიანმა, დ. ცვარიანმა, სარდ. ბერიძემ. სულ 40 მან.

დეკ. ბ. ცაგარეიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადება

## სასწავლებელი გიორგი ყუზანოვისა.

(მუხრანის ქუჩა, ქვრივი ყორღანოვის სახლი, № 12, ქალაქის სამკურნალოს პირდაპირ.)

ემაწვილებს მიიღებენ 27 აგვისტოდან, სწავლა კი დაიწყება 4 ენკენისთვეს.

(2 – 1)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვაჭრიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო იოთვით, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფულ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ათვთაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილიში.

(12 – 6)

---

### ახალი წიგნები იაკობ გოგებაშვილისა

მ ო ს ა ვ ლ ი ს მ ც ვ ე ლ ნ ი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, იპყრობს აღწერას თხუთმეტის ცხოველისას, ოც-და-ხუთი სურათით. იყიდება დამკვეთელთა წ-გნის მაღაზიებში: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის, ხეთერელის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში; ახალ-სენაკში, ოზურგეთს და ბათუმში თავართქილაძის მაღაზიებში, ფასი ყველგან ერთი აბაზი.

**Разборъ** учебныхъ руководствъ по русскому языку: Родного Слова Ушинскаго, Русской Рѣчи Вольпера, Курса Русскаго языка Левитскаго, Русской Рѣчи Черняевскаго, ამას გარდა წიგნში მოთავსებულია კიდევ ორი სხვა წერილი, Учебный планъ Инородческой школы и Курсъ начальной Кавказской школы, იყიდება იქვე,—ფასი ათი შაური.—

(6 – 5)

Дов. ценз. Тифлисъ, 24 Августа 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр. д., № 41